

სს „საბროკერო კომპანია კავკასუს კაპიტალ ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

3-4

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

5

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

6

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

7

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა	9
2. მომზადების საფუძვლები	9
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	18
5. ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში	19
6. ძირითადი საშუალებები	20
7. არამატერიალური აქტივები	20
8. არამატერიალური აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსი	21
9. აქტივი გამოყენების უფლებით	21
10. გაცემული სესხი	21
11. დებიტორული დავალიანება	22
12. მოკლევადიანი ინვესტიციები	22
13. მისაღები პროცენტები	22
14. ფული და ფულის ეკვივალენტები	22
15. საკუთარი კაპიტალი	22
16. საიჯარო ვალდებულება	23
17. კრედიტორული დავალიანება	23
18. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები	24
19. სხვა საშუამავლო შემოსავალი	24
20. სავაჭრო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებული ხარჯი, წმინდა	24
21. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	24
22. (ზარალი)/მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	25
23. სხვა ხარჯები	25
24. ფინანსური რისკის მართვა	25
25. კაპიტალის უკმარისობის რისკის მართვა	28
26. პირობითი ვალდებულებები	28
27. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები	29
28. ინფორმაცია კლიენტების რაოდენობასა და ტრანზაქციების მოცულობაზე	30
29. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	30

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“-ს აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებისგან, ასევე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებითი შენიშვნებისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც აღწერილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნაში 5, კომპანიამ შეაფასა წილობრივ ინსტრუმენტებში ფლობილი ყველა ინვესტიცია რეალური ღირებულების ნაცვლად თვიღირებულების მეთოდით, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. შენიშვნაში 5 მოყვანილია მიზეზები რის გამოც აღნიშნულ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციის თვითღირებულება მიჩნეულია, რეალური ღირებულების რეპრეზენტატორად. ასეთი მიდგომა არ არის თავსებადი ფასს 9 *ფინანსური ინსტრუმენტები* -თან, რადგან რეალური ღირებულების შესაფასებლად ხელმისაწვდომი ახალი ინფორმაცია საკმარისია და არ არსებობს რეალური ღირებულებების შესაძლო მნიშვნელობების ფართო დიაპაზონი. ჩვენთვის შეუძლებელი იყო რეალური ღირებულების შეფასების შედეგად მისაღები კორექტირების ფინანსური ეფექტის რაოდენობრივი განსაზღვრა 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ წილობრივ ინვესტიციებსა და წმინდა მოგება ან ზარალზე.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა ხსენებული სტანდარტების საფუძველზე აღწერილია დასკვნის სექციაში *აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი „ზულალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ (IESBA) “პროფესიონალ ზულალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსის” (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და საქართველოში ფინანსურ ანგარიშგების აუდიტისთვის რელევანტურ ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს პირობითი მოსაზრების გამოთქმისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

სხვა საკითხი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის აუდიტებულ იქნა სხვა აუდიტორების მიერ რომელთაც გამოთქვეს არამოდიფიცირებული მოსაზრება იმ ანგარიშგებაზე 2022 წლის 30 მარტს.

ხელმძღვანელობასა და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფასების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ, და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუწინდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს, გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ ასს-ს საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მიიჩნევა არსებითად, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმის უზრუნველსაყოფად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოვაცქეს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძველების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვეველობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვეველობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციაზე, ან თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, ჩვენი მოსაზრებაც მოდიფიცირებული იქნება. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედეგის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად ოპერაციებს და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა;

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

ვახტანგ სამორაძე
შპს „იუ.ეი.ვი“
თბილისი, საქართველო
2023 წლის 31 მარტი



სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში	5	392,958	392,958
ძირითადი საშუალებები	6	5,338	8,097
არამატერიალური აქტივები	7	79,785	21,376
არამატერიალური აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსი	8	2,028	43,965
აქტივი გამოყენების უფლებით	9	7,166	14,332
გაცემული სესხი	10	-	11,701
სულ გრძელვადიანი აქტივები		487,275	492,429
მიმდინარე აქტივები			
დებიტორული დავალიანება	11	5,584	5,913
გაცემული სესხი	10	3,831	-
საგადასახადო აქტივი, წმინდა		-	994
მოკლევადიანი ინვესტიციები	12	9,498	17,593
მისაღები პროცენტები	13	6,882	26,488
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	19,208	6,479
სულ მიმდინარე აქტივები		45,003	57,467
სულ აქტივები		532,278	549,896
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	15	416,500	416,500
საემისიო კაპიტალი	15	35,880	35,880
გაუნაწილებელი მოგება	15	59,615	72,410
სულ საკუთარი კაპიტალი		511,995	524,790
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	16	-	9,630
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	9,630
მიმდინარე ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	17	11,275	6,606
საიჯარო ვალდებულება	16	8,246	8,870
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა		762	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		20,283	15,476
სულ ვალდებულებები		20,283	25,106
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		532,278	549,896

შენიშვნები 9-30 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
 მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	2022	2021
საკომისიო შემოსავალი	18	13,197	12,185
საკომისიო ხარჯი	18	(424)	(517)
წმინდა საკომისიო შემოსავალი		12,773	11,668
სხვა საშუაშედი შემოსავალი	19	104,176	95,092
სხვა საოპერაციო შემოსავალი		51	2,952
სავაჭრო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებული ხარჯი, წმინდა	20	(5,961)	(12,658)
წმინდა შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან		111,039	97,054
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	21	(109,680)	(94,754)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხარჯი სესხზე (ზარალი)/მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	10	(11,493)	-
საპროცენტო ხარჯი	22	(2,391)	1,594
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		(1,060)	(1,855)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		1,271	12,615
სხვა ხარჯები	23	(481)	(39,102)
ზარალი დაბეგრამდე		(12,795)	(24,448)
მოგების გადასახადი		-	-
წლის ზარალი		(12,795)	(24,448)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის ზარალი და სხვა სრული შემოსავალი		(12,795)	(24,448)
ზარალი ერთ აქციაზე	15	(0.03)	(0.06)

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 31 მარტს.


 გიორგი ლოლაძე
 გენერალური დირექტორი

ლიანა პაპიაშვილი
 მთავარი ბუღალტერი



შენიშვნები 9-30 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2021	425,500	53,880	96,858	576,238
კაპიტალის შემცირება (შენიშვნა 15)	(9,000)	(18,000)	-	(27,000)
წლის ზარალი	-	-	(24,448)	(24,448)
წლის ზარალი და სხვა სრული შემოსავალი	-	-	(24,448)	(24,448)
31 დეკემბერი 2021	416,500	35,880	72,410	524,790
წლის ზარალი	-	-	(12,795)	(12,795)
წლის ზარალი და სხვა სრული შემოსავალი	-	-	(12,795)	(12,795)
31 დეკემბერი 2022	416,500	35,880	59,615	511,995

შენიშვნები 9-30 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	2022	2021
წლის ზარალი დაბეგრამდე:		(12,795)	(24,448)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6; 7; 9	16,708	11,735
სხვა საშუაშეგებლო შემოსავალი	19	(104,176)	(95,092)
საპროცენტო ხარჯი		1,060	1,855
სესხზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხარჯი	10	11,493	-
კურსთაშორისი სხვაობის წმინდა ზარალი/(მოგება)	22	2,391	(1,594)
სავაჭრო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებული ხარჯი, წმინდა	20	5,961	12,658
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		(79,358)	(94,886)
<i>საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:</i>			
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში		1,756	(1,659)
ცვლილება დებიტორულ დავალიანებებში		11	26,003
ცვლილება კრედიტორულ დავალიანებებში		4,733	4,676
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები საპროცენტო ხარჯის, მოგების გადასახადის გადახდამდე და საპროცენტო შემოსავლის მიღებამდე		(72,858)	(65,866)
გადახდილი პროცენტი		(1,060)	(1,855)
მიღებული პროცენტი		122,159	95,741
საოპერაციო საქმიანობაში მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		48,241	28,020
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
გაცემული სესხის მიღება		5,000	3,947
სესხის გაცემა		(7,000)	(1,000)
არამატერიალური აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსების ზრდა		(23,255)	(22,764)
ფასიანი ქაღალდების შესყიდვა		(1,384)	(12,375)
ფასიანი ქაღალდების გაყიდვა		1,382	13,472
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(25,257)	(18,720)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
კაპიტალის შემცირება		-	(27,000)
იჯარის ძირის დაფარვა		(8,496)	(8,404)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(8,496)	(35,404)
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	14	6,479	32,390
წმინდა ზრდა/(შემცირება) წლის განმავლობაში		14,488	(26,104)
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(1,759)	193
ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	14	19,208	6,479

შენიშვნები 9-30 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
 ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

1. კომპანია და მისი საქმიანობა

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ავტორიზებული იქნა გამოსაცემად 2022 წლის 31 მარტს დირექტორის გადაწყვეტილებით.

კომპანია დაფუძნებულია 2006 წლის 13 იანვარს და ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია - ჭავჭავაძის გამზირი N74ა, თბილისი, საქართველო.

კომპანიის განცხადებული კაპიტალი არის 500,000 ლარი. კომპანიის აქციონერები არიან გიორგი ლოლაძე (91.48%) და ნიკოლოზ ლოლაძე (8.52%).

კომპანია წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოქმედ საბროკერო კომპანიას, რომელიც ლიცენზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (საბროკერო საქმიანობის ლიცენზია #20047, გაცემული 2006 წლის 2 მაისს) და ახორციელებს საბროკერო მომსახურებას.

2. მომზადების საფუძვლები

ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და დაკმაყოფილდა იმით, რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად. უფრო მეტიც ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ეჭვი დაბადოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით, შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

რეკლასიფიკაცია

კომპანიამ შეცვალა წინა წლის აქტივების ანგარიშგების ცალკეული მუხლების კლასიფიკაცია. კომპანია მიიჩნევს, რომ ცვლილებები წარმოადგენს სანდო და უფრო რელევანტურ ინფორმაციას.

შემდეგი რეკლასიფიკაცია განხორციელდა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	რეკლასიფიკაციამდე	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიცირებული თანხა
მისაღები პროცენტები	26,488	(26,488)	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	518,917	(26,488)	492,429
საგადასახადო აქტივი, წმინდა	1,345	(351)	994
მისაღები პროცენტები	-	26,488	26,488
სულ მიმდინარე აქტივები	31,330	26,137	57,467
საგადასახადო ვალდებულებები	351	(351)	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	15,827	(351)	15,476

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
 ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

შემდეგი რეკლასიფიკაცია განხორციელდა ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	რეკლასიფიკაციამდე	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიცირებული თანხა
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	10,299	17,721	28,020
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	1,097	(19,817)	(18,720)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან საქმიანობიდან	(34,307)	(1,097)	(35,404)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
1 USD/GEL	2.702	3.0976
1 EUR/GEL	2.8844	3,5040
1 GBP/GEL	3.2581	4,1737
1 CAD/GEL	1.9959	2,4208

საშუალო შეწონილი კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2022	2021
1 USD/GEL	2.9156	3,2209
1 EUR/GEL	3.0792	3.8140
1 GBP/GEL	3.6181	4,4325
1 CAD/GEL	2.2459	2.5698

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამოწვევისაა სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოდინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქტებზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)

მოგება ან ზარალი ასეთი ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულებით შეფასებიდან არასდროს ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. დივიდენდები აღირიცხება როგორც სხვა შემოსავალი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც კომპანია ხდება უფლებამოსილი მიიღოს თანხა.

კაპიტალის ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით არ ექვემდებარება გაუფასურებას. კომპანია ასეთად აკლასიფიცირებს არაკოტირებულ კაპიტალის ინსტრუმენტებს.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით

სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზარდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა).

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ

ადენებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ფინანსურ ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტის სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით. მოგება, ან ზარალი აღიარდება, როგორც მოგება-ზარალში, ვალდებულების აღიარების შეწყვეტის მომენტისთვის, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზირებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვის პროცესში მიღებულ ნებისმიერ პრემიუმის ან ფასდაკლების გათვალისწინებით და ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება, როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად მიესადაგება პროცენტის მატარებელ სესხებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღრიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის აღიარებისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც კომპანია მოელის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. თუმცა, სტანდარტი არ ეხება ფინანსურ ინსტრუმენტებთან და იჯარასთან დაკავშირებულ შემოსავალს.

იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, საწარმომ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიშარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად საწარმომ უნდა შეაფასოს:

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;

მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოემოხა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივების თვითღირებულება შედგება მშენებლობის/შექმნის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის/შექმნის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება მათი ჩამოფასება და იგი აღიარდება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების

გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა და ამორტიზაცია

ცვეთა და ამორტიზაცია გრძელვადიან აქტივებზე გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში:

აქტივების ჯგუფი	ცვეთის ნორმა
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სატრანსპორტო საშუალება	20%
ოფისის აღჭურვილობა	40%
არამატერიალური აქტივები	15%

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რომელსაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების ან არამატერიალური აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

მოგების გადასახადი

გადასახადები წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

საემისიო კაპიტალი

საემისიო კაპიტალი არის სხვაობა საწარმოს მიერ აქციების პირველადი განთავსებიდან მიღებულ ან მისაღებ თანხასა და ამ აქციების ჯამურ ნომინალურ ღირებულებას შორის, აგრეთვე სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნებისას არაფულადი შესატანის ღირებულების მეტობა დათქმულ თანხაზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვეთება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები გაცხადდება მაშინ, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულ მისაღები ანაზღაურების მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც მოხდება კლიენტისთვის მომსახურების გაწევა.

შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან

მესამე მხარეთა ოპერაციებთან (როგორებიცაა აქციების თუ სხვა ფასიანი ქაღალდების შექმნა ან გაყიდვა) დაკავშირებული მოლაპარაკებებიდან ან მოლაპარაკებებში მონაწილეობიდან მიღებული თანხები აღრიცხულია გარიგების დასრულებისას. გარიგებებთან დაკავშირებული გასამრჯელო ან გასამრჯელოს კომპონენტები, აღიარებულია შესაბამისი პირობების შესრულების შემდგომ. გასამრჯელო ან მისი კომპონენტები, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ შესრულებასთან, აღიარებულია შესაბამისი კრიტერიუმების შესრულების შემდეგ.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღრიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის და არსებითობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე:

ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში „ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად“

2020 წელს გამოცემული ცვლილებები, მიმართულია მოთხოვნების დაზუსტებაზე, რათა დადგინდეს, არის თუ არა ვალდებულება მიმდინარე თუ გრძელვადიანი და ვრცელდება წლიურ საანგარიშგებო პერიოდებზე, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვრს ან ამ თარიღის შემდეგ. თუმცა, ბასს-მა შემდგომში შესთავაზა დამატებითი ცვლილებები ბასს 1-ში და 2020 წლის ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღის გადადება არა უადრეს 2024 წლის 1 იანვრამდე. ამ მიმდინარე განვითარებების გამო, კომპანიას არ შეუძლია განსაზღვროს ამ ცვლილებების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე თავდაპირველი გამოყენების პერიოდში. კომპანია ყურადღებით აკვირდება მოვლენების განვითარებას.

მოსალოდნელია, რომ შემდეგი ახალი და შესწორებული სტანდარტები მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ▶ ფასს 17 სადაზღვეო ხელშეკრულებები და ცვლილებები ფასს 17 სადაზღვეო ხელშეკრულებებში;
- ▶ სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება (შესწორებები ბასს 1-ში და ფასს-ის მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციებში);
- ▶ ბუღალტრული შეფასებების განმარტება (შესწორებები ბასს 8-ში)
- ▶ გადავადებული გადასახადი, რომელიც განეკუთვნება ერთი გარიგების შედეგად წარმოქმნილ აქტივებს და ვალდებულებებს - ცვლილებები ბასს 12-ში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

იჯარის გაგრძელების უფლება

როდესაც საწარმოს აქვს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, საკმარისად სარწმუნო იქნება თუ არა ამ უფლების გამოყენება. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც გაწეული იქნება აქტივის შესაცვლელად, თუ ეს უფლება არ იქნება გამოყენებული, რაც მათ დაეხმარება საიჯარო პირობების განსასაზღვრად. ხელმძღვანელობა თვლის რომ მათი შეფასება ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ადეკვატურია.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების საექსპლუატაციო ვადები

კომპანიამ იმსჯელა ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საექსპლუატაციო ვადების დადგენაზე, იმ ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა ტექნიკური ან კომერციული დამველება, აქტივების მოსალოდნელი გამოყენება აქტივების მოსალოდნელ ფიზიკური მწარმოებლურობის მოცულობასთან და მოსალოდნელ ფიზიკურ ამორტიზაციასთან კავშირში, დამოკიდებულია საწარმოო ფაქტორებზე. თუმცა მენეჯმენტმა განახორციელა თავისი საუკეთესო შეფასებები აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სტრუქტურის შესაქმნელად, იგი შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებიდან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშში მოყვანილ ციფრებზე.

5. ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში

ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ აქციები	299,998	299,998
სს „სი ეს არ“-ის აქციები	92,812	92,812
სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს აქციები	148	148
სულ ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში	392,958	392,958

აღნიშნული ინვესტიციები წარმოადგენს წილობრივ ინსტრუმენტებს. ფასს-9 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად წილობრივ ინსტრუმენტებში ფლობილი ყველა ინვესტიცია და ამგვარ ინვესტიციებზე დადებული ხელშეკრულებები უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით. თუმცა, გარკვეულ გარემოებებში თვითღირებულება შესაძლოა იყოს რეალური ღირებულების მართებული შეფასება. ასე შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ:

- რეალური ღირებულების შესაფასებლად ხელმისაწვდომი ახალი ინფორმაცია საკმარისი არ არის,
- ან არსებობს რეალური ღირებულებების შესაძლო მნიშვნელობების ფართო დიაპაზონი და ამ დიაპაზონში თვითღირებულება წარმოადგენს რეალური ღირებულების საუკეთესო შეფასებას.

ვინაიდან, სს „საქართველოს საფონდო ბირჟისა“ (მფლობელობის წილი 10%) და სს „სი ეს არის“ (პროცენტული წილი განთავსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობიდან 25,6%, მფლობელობის წილი განცხადებულ კაპიტალში 17,9%) აქციები არ არის კოტირებული ბაზარზე და ხელმძღვანელობა არ ფლობს საკმარის ინფორმაციას იმისთვის, რომ საიმედოდ დაადგინოს მათი აქციების რეალური ღირებულება, აღნიშნულ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციის თვითღირებულება მიჩნეულია, როგორც რეალური ღირებულების რეპრეზენტატორი.

როგორც ეს აღწერილია შენიშვნა 29, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განხორციელდა სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ აქციის ყიდვა-გაყიდვი ოპერაცია.

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
 ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საბალანსო ღირებულება	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
1 იანვარი, 2021; 31 დეკემბერი, 2021 და 31 დეკემბერი 2022	36,301	8,193	6,644	51,138
აკუმულირებული ცვეთა				
1 იანვარი, 2021	29,080	7,847	1,861	38,788
წლის ცვეთა	3,221	75	957	4,253
31 დეკემბერი, 2021	32,301	7,922	2,818	43,041
წლის ცვეთა	1,934	60	765	2,759
31 დეკემბერი, 2022	34,235	7,982	3,583	45,800
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი, 2021	4,000	271	3,826	8,097
31 დეკემბერი, 2022	2,066	211	3,061	5,338

სრულად გაცვეთილი მაგრამ კვლავ გამოყენებაში არსებული ძირითადი საშუალებები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ქონია. კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის დატვირთული გირავნობით.

7. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საბალანსო ღირებულება	ლიცენზია	კომპიუტერული პროგრამა და ვებ საიტი	დაუსრულებელი არამატერიალურ ი აქტივები	სხვა არამატერიალურ ი აქტივები	სულ
1 იანვარი, 2021	700	3,103	19,587	267	23,657
31 დეკემბერი, 2021	700	3,103	19,587	267	23,657
არამატერიალური აქტივის შესაძენად გადახდილი					
ავანსიდან მიღება	-	65,192	-	-	65,192
შიდა ტრანსფერი	-	19,587	(19,587)	-	-
31 დეკემბერი, 2022	700	87,882	-	267	88,849
აკუმულირებული ამორტიზაცია					
1 იანვარი, 2021	639	1,083	-	244	1,966
წლის ამორტიზაცია	9	302	-	4	315
31 დეკემბერი, 2021	648	1,385	-	248	2,281
წლის ამორტიზაცია	8	6,772	-	3	6,783
31 დეკემბერი, 2022	656	8,157	-	251	9,064
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი, 2021	52	1,718	19,587	19	21,376
31 დეკემბერი, 2022	44	79,725	-	16	79,785

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
 ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

8. არამატერიალური აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსი

გადახდილი ავანსები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს 2,028 ლარს (2021: 43,965 ლარს), რომელიც ძირითადად შედგება კლიენტების და გარიგებების ინტეგრირებული აღრიცხვის კომპიუტერული სისტემისა და ვებ-საიტის შექმნასთან დაკავშირებული ავანსებისაგან. 2022 წელს 65,192 ლარის ღირებულების არამატერიალური აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები დაკლასიფიცირდა, როგორც არამატერიალური აქტივი (შენიშვნა 7) და 12,544 ლარის ღირებულებით წინასწარ გადახდა ჩამოიწერა მოგება ან ზარალში ხარჯის სახით (შენიშვნა 21).

9. აქტივი გამოყენების უფლებით

აქტივი გამოყენების უფლებით 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

თვითღირებულება	საოფისე ფართი	სულ
1 იანვარი 2020	35,833	35,833
31 დეკემბერი 2021	35,833	35,833
31 დეკემბერი 2022	35,833	35,833

აკუმულირებული ამორტიზაცია

1 იანვარი 2021	14,334	14,334
ცვეთის ხარჯი	7,167	7,167
31 დეკემბერი 2021	21,501	21,501
ცვეთის ხარჯი	7,166	7,166
31 დეკემბერი 2022	28,667	28,667

წმინდა საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი 2021	14,332	14,332
31 დეკემბერი 2022	7,166	7,166

ფასს 16-ის გამოყენებასთან დაკავშირებით კომპანიამ აღიარა აქტივი გამოყენების უფლებით. კომპანიას იჯარით აქვს აღებული საოფისე ფართი. საიჯარო ხელშეკრულებით განსაზღვრულია ფიქსირებული გადახდები, წლის განმავლობაში 3,240 დოლარის ექვივალენტით ლარში. ხელშეკრულება მოიცავს როგორც იჯარის გაგრძელების, ასევე შეწყვეტის უფლებას და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საიჯარო პერიოდი, კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, 1 წელია.

10. გაცემული სესხი

	გაცემის თარიღი	სესხის ვადა	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31-დეკ-22	31-დეკ-21
ლიანა პაპიაშვილი	9/9/2020	9/9/2022	15%	GEL	12,000	10,000
გაცემული სესხი, მათ შორის:					12,000	10,000
ძირი					12,000	10,000
პროცენტი					3,324	1,701
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი					(11,493)	-
სულ გაცემული სესხი					3,831	11,701

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის მოძრაობა სესხზე 2022 და 2021 წლის განმავლობაში

გაუფასურების რეზერვი	2022	2021
ნაშთი წლის დასაწყისში	-	-
ცვლილება წლის განმავლობაში	11,493	-
ნაშთი წლის ბოლოს	11,493	-

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
 ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

11. დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
მოთხოვნა აქციების რეალიზაციიდან	4,080	4,080
კლიენტებისგან მისაღები საკომისიო	1,504	1,833
სულ დებიტორული დავალიანება	5,584	5,913

12. მოკლევადიანი ინვესტიციები

მოკლევადიანი ინვესტიციები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 9,498 ლარს (2021 17,593), რომელიც წარმოადგენს სავაჭრო პლატფორმაზე არსებულ სხვადასხვა ფასიან ქაღალდებს. კომპანია აღრიცხავს მოკლევადიან ინვესტიციებს სამართლიანი ღირებულებით, ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით.

13. მისაღები პროცენტები

მისაღები პროცენტები 31 დეკემბერი 2022 და 31 დეკემბერი 2021 წლების მდგომარეობით შედგება სს „ლიბერთი ბანკში“ და სს „ხალივ ბანკში“ და სს „საქართველოს ბანკში“ განთავსებულ დეპოზიტარებზე დარიცხულ საპროცენტო სარგებლისგან, რომელთა ღირებულებაა სულ 6,882 ლარი და 26,488 ლარი შესაბამისად.

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
ეროვნული ვალუტა ბანკში	2,686	6,294
უცხოური ვალუტა რეზიდენტ საბანკო ანგარიშზე	16,456	119
ეროვნული ვალუტა სალაროში	66	66
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	19,208	6,479

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია როგორც არასარისკო და ექვემდებარება ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკს.

კლიენტების მობარებული აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენდა 987,083 ლარსა და 978,708 ლარს 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად. მოცემულ მობარებულ აქტივებზე კომპანიას არ აქვს კონტროლი და არ არის აღრიცხული ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებაში.

15. საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
განცხადებული სააქციო კაპიტალი	500,000	500,000
შეუვსებელი სააქციო კაპიტალი	(83,500)	(83,500)
სულ სააქციო კაპიტალი	416,500	416,500
საემისიო შემოსავალი (საემისიო კაპიტალი)	35,880	35,880
გაუნაწილებელი მოგება	59,615	72,410
სულ კაპიტალი	511,995	524,790

2021 წლის განმავლობაში, მიმართ კაპიტალის შევსებაზე მოთხოვნის შემცირების გზით, კომპანიის სააქციო კაპიტალი შემცირდა 9,000 ლარით, ხოლო საემისიო კაპიტალი 18,000 ლარით.

გაუნაწილებელი მოგება წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში დარჩენილი წმინდა მოგების ნაწილს, რომელიც გაუნაწილებელია.

კომპანიას დივიდენდები არ გამოუცხადებია 2022 და 2021 წლების განმავლობაში.

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
 ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

15. საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

კაპიტალის რისკის მართვასთან დაკავშირებით იხილეთ შენიშვნა 24.

შემოსავალი ერთ აქციაზე გამომანგარიშებულია შემდეგნაირად:

	2022	2021
მთლიანი წლის სრული ზარალი და სხვა სრული შემოსავალი	(12,795)	(24,448)
ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა	416,500	416,500
საბაზისო და განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე	(0.03)	(0.06)

16. საიჯარო ვალდებულება

საიჯარო ვალდებულება 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	8,246	8,870
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	-	9,630
სულ საიჯარო ვალდებულება	8,246	18,500

	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
თავდაპირველი აღიარებისას	35,833	35,833
საწყისი ბალანსი	18,500	28,353
საპროცენტო ხარჯი	1,073	1,855
გადახდები წლის განმავლობაში	(9,556)	(10,259)
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ეფექტი	(1,771)	(1,449)
ნაშთი წლის ბოლოს	8,246	18,500

31 დეკემბერი 2022	1 წლის განმავლობაში	1-5 წელი
საიჯარო გადახდები	8,754	-
ფინანსური ხარჯი	354	-
დღევანდელი ღირებულება	9,108	-

31 დეკემბერი 2021	1 წლის განმავლობაში	1-5 წელი
საიჯარო გადახდები	10,036	8,754
ფინანსური ხარჯი	1,119	354
დღევანდელი ღირებულება	11,155	9,108

17. კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 11,275 ლარს (2021: 6,606 ლარს)

18. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

კომპანია ახორციელებს სავაჭრო საქმიანობას როგორც სს „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“, ასევე საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე კოტირებული ფასიანი ქაღალდებით. კომპანია საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე ტრანზაქციებს ახორციელებს საერთაშორისო სავაჭრო პლატფორმის საშუალებით. 2022 წელს სს „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ განხორციელებული გარიგებებიდან და არასაბირჟო გარიგებებიდან მიღებული ჯამური საბროკერო საკომისიო შემოსავალი შეადგენს 10,062 ლარს (2021: 10,245 ლარი). ამავდროულად, საერთაშორისო სავაჭრო პლატფორმის საშუალებით, საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე განხორციელებული გარიგებებიდან მიღებული შემოსავალი არის 3,135 ლარი (2021: 1,940 ლარი). საერთაშორისო სავაჭრო პლატფორმაზე ვაჭრობასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა 2022 წელს შეადგინა 424 ლარი (2021: 517 ლარი), საიდანაც Interactive Brokers-ის პლატფორმაზე ვაჭრობის საკომისიო ხარჯი შეადგენს 393 ლარს (2021: 288 ლარი).

19. სხვა საშუამავლო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავლები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებიდან ბანკში	102,217	93,593
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხებიდან	1,959	1,499
სულ სხვა საოპერაციო შემოსავლები	104,176	95,092

20. სავაჭრო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებული ხარჯი, წმინდა

კომპანია ფლობს ანგარიშს G&T-ში, სადაც ვაჭრობს ფასიანი ქაღალდებით, კონკრეტულად Gold Miners და Gold Miners Junior-ის ფასიანი ქაღალდებს სავაჭრო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებული ხარჯი, წმინდა 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
სავაჭრო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებული შემოსავალი	9,053	4,079
სავაჭრო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებული ხარჯი	(15,014)	(16,737)
სულ სავაჭრო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებული ხარჯი, წმინდა	(5,961)	(12,658)

21. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
ხელფასი და სხვა სარგებელი	51,317	51,579
არამატერიალური აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსის ჩამოწერა (შენიშვნა 8)	12,544	-
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	10,130	15,627
ცვეთა და ამორტიზაცია	16,708	11,735
საწვავის ხარჯი	3,647	2,442
კომუნალური გადასახადები	2,217	2,153
სხვა საერთო ხარჯები	13,117	11,218
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	109,680	94,754

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
 ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

22. (ზარალი)/მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა

კურსთაშორისი სხვაობიდან (ზარალი)/მოგება 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
საკურსო მოგება	2,428	4,849
საკურსო ზარალი	(4,819)	(3,255)
სულ (ზარალი)/მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	(2,391)	1,594

23. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
ჯარიმა	-	39,000
სხვა ხარჯები	481	102
სულ სხვა ხარჯები	481	39,102

24. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მართვის ფუნქციები ხორციელდება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს) და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით, რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებულ იქნას საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის.

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	19,142	6,413
გაცემული სესხი	10	3,831	11,701
მოკლევადიანი ინვესტიციები	12	9,498	17,593
დებიტორული დავალიანება	11	5,584	5,913
სულ საკრედიტო რისკთან დაკავშირებული აქტივები		38,055	41,620

საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება შემდეგ საბაზრო რისკებს:

- ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში (სავალუტო რისკი)
- ბ) საპროცენტო განაკვეთის მქონე აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში (საპროცენტო რისკი)
- გ) ფასების ცვლილების მიმართებაში (სხვა ფასების ცვლილების რისკი)

მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

მგრძობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაში ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები. კომპანიის აქტივები და ვალდებულებები დენომინირებულია რამდენიმე უცხოურ ვალუტაში. თუ აქტივები და ვალდებულებები საერთო ვალუტაში არ ემთხვევა ერთმანეთს, კომპანიას აქვს ღია სავალუტო პოზიცია და ექვემდებარება კურსის არამომგებიან ცვლილების რისკს.

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება მის ფუნქციონირებას (წინასწარი გადახდები უცხოურ ვალუტაში) და ფინანსირების საქმიანობებს (სესხები და კრედიტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში).

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ხორციელდება ლარში. სავალუტო რისკის საფრთხე მომდინარეობს კომპანიის ნაღდი ფულის და საბანკო ბალანსებიდან, რომლებიც დენომინირებულია სხვადასხვა ვალუტებში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები არის თანხები, რომლებსაც განიხილავს მთავარი ხელმძღვანელობა და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის კურსით.

გარდა ამისა ქვემოთ მოცემულ ცხრილში დეტალურად არის აღწერილი კომპანიის მგრძობიარობა 30%-იან ზრდაზე და შემცირებაზე ლარში თითოეულ ვალუტასთან მიმართებით. 30% წარმოადგენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების მენეჯმენტისეულ შეფასებას. ანალიზი „მგრძობიარობაზე“ მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ნარჩენ ფულად საშუალებებს და არეგულირებს მათ კონვერტირებას პერიოდის დასასრულისათვის უცხოური ვალუტის კურსის 30%-იანი ცვლილებით.

დადებითი სიდიდე მიუთითებს მოგება-ზარალის ზრდას, როდესაც ლარი მყარდება შესაბამისი ვალუტის მიმართ.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ 2022 და 2021 წლების მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2022	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	14,765	17	1,669	16,451
დებიტორული დავალიანება	258	-	272	530
მოკლევადიანი ინვესტიციები	9,498	-	-	9,498
სულ ფინანსური აქტივები	24,521	17	1,941	26,478
ფინანსური ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	(8,246)	-	-	(8,246)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(8,246)	-	-	(8,246)
წმინდა სავალუტო პოზიცია	16,275	17	1,941	18,232
გავლენა მოგება-ზარალზე				
30%-იანი ზრდა	4,882	5	582	5,470
30%-იანი შემცირება	(4,882)	(5)	(582)	(5,470)

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

2021	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	99	20	-	119
დებიტორული დავალიანება	-	-	107	107
მოკლევადიანი ინვესტიციები	17,593	-	-	17,593
სულ ფინანსური აქტივები	17,692	20	107	17,819
ფინანსური ვალდებულებები				
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	(8,870)	-	-	(8,870)
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	(9,630)	-	-	(9,630)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(18,500)	-	-	(18,500)
წმინდა სავალუტო პოზიცია	(808)	20	107	(681)
გავლენა მოგება-ზარალზე				
30%-იანი ზრდა	(242)	6	32	(204)
30%-იანი შემცირება	242	(6)	(32)	204

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, როდესაც სამართლიანი ღირებულება ან ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. კომპანიას არ ემუქრება მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკი, რამდენადაც კომპანიის არ აქვს სესხები და ნასესხები თანხები ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაექვემდებარებიან გადახდას. ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნარჩენ დაფარვის ვადებს მისი არა-დერივატიული ფინანსური ვალდებულებებისათვის გადახდის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების საფუძველზე უფრო ადრეულ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც კომპანიას მოეთხოვება გადახდა.

31 დეკემბერი, 2022

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	19,142	-	19,142
მისაღები პროცენტები	6,882	-	6,882
მოკლევადიანი ინვესტიციები	9,498	-	9,498
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,584	-	5,584
გაცემული სესხები	3,831	-	3,831
სულ ფინანსური აქტივები	44,937	-	44,937

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
 ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(11,275)	-	(11,275)
საიჯარო ვალდებულება	(8,246)	-	(8,246)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(19,521)	-	(19,521)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	25,416	-	25,416

31 დეკემბერი, 2021

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,413	-	6,413
მისაღები პროცენტები	26,488	-	26,488
მოკლევადიანი ინვესტიციები	17,593	-	17,593
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,913	-	5,913
გაცემული სესხები	-	11,701	11,701
სულ ფინანსური აქტივები	56,407	11,701	68,108

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(6,606)	-	(6,606)
საიჯარო ვალდებულება	(8,870)	(9,630)	(18,500)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(15,476)	(9,630)	(25,106)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	40,931	2,071	43,002

25. კაპიტალის უკმარისობის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს სააქციო კაპიტალს, საემისიო კაპიტალსა და გაუნაწილებელ მოგებას (იხილეთ შენიშვნა 15).

კაპიტალის მართვას კომპანიის მფლობელები ახორციელებენ კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის მისაღებად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ითვალისწინებს კომპანიის სხვადასხვა კლასის ვალების სუბორდინაციის დონეს, აგრეთვე არეგულირებს გადახდილი დივიდენდების ოდენობას, კაპიტალის მფლობელებისათვის დაბრუნებას, ახალი აქციების გამოცემას.

კომპანია ახორციელებს საბროკერო საქმიანობას და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის N145/04 ბრძანების მე-8 მუხლის, 1-ლი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, მისი კაპიტალის მინიმალური ოდენობა 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით უნდა შეადგენდეს 500,000 ლარს.

26. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

26. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

27. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

- ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- დ) მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირების ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (გ)-ში;
- ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (გ) ან (დ)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიის აქციონერები არიან გიორგი ლოლაძე (91.48%) და ნიკოლოზ ლოლაძე (8.52%).

კომპანია ფლობს სს „სი ეს არ“-ში განთავსებული აქციების 25.6%-ს, (პროცენტული წილი განცხადებულ კაპიტალში 17.9%), ხოლო სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ აქციების 10% -ს.

დაკავშირებულ მხარესთან არსებული ოპერაციები წარმოადგენილია ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
დებიტორული დავალიანება		
აქციონერი	4,080	4,080
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	5,584	5,913
	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
კრედიტორული დავალიანება		
სხვა დაკავშირებული მხარე	229	-
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	11,275	6,606
	2022	2021
საკომისიო შემოსავალი		
აქციონერი	252	-
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	13,197	12,185

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

27. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება:

	2022	2021
უმაღლესი ხელმძღვანელობის ხელფასი და სხვა განაცემი	24,000	18,000

28. ინფორმაცია კლიენტების რაოდენობასა და ტრანზაქციების მოცულობაზე

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფის“ კლიენტების რაოდენობა შეადგენს 207-ს (2021: 211). 2021 წლის განმავლობაში სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფის“ კლიენტების ტრანზაქციების ჯამურმა გარიგებების მოცულობამ შეადგინა:

-თანხობრივად - 5,793,889 ლარი (2021: 9,475,804 ლარი);

-ფასიანი ქაღალდების მიხედვით - 4,663,833 ცალი (2022: 8,402,474 ცალი).

29. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 31 მარტს.

საანგარიშგებო პერიოდ შემდეგ, 2023 წლის 28 მარტს, სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ 1 თეთრის ნომინალური ღირებულების 10,000 ცალი აქცია გაიყიდა 1.20 ლარად, სულ ჯამში 12,000 ლარად.